ევროკავშირი
საქართველოსთვის

ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის წარმომადგენლობა

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების მიმართულებით

2023 წელი

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია" და შესაძლოა, რომ ის არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS), ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC), და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

კვლევის ავტორები: პაატა კლდიაშვილი
ლევან ოყრეშიძე

ISBN 978-9941-455-79-7

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

შინაარსი

შესავალი.....5

ნაწილი I

ოფიციალური სტატისტიკის,
მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური
სტატისტიკის, წარმოების ევროპული სისტემა.....10

1. გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის
ფუნდამენტური პრინციპები“.....10

2. „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი“.....14

3. „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ
მოკლე მიმოხილვა“.....17

ნაწილი II

რეგიონული და მუნიციპალური
სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკა.....21

1. ქართული კანონმდებლობისა და
ნორმატიული ბაზის მიმოხილვა.....21

2. რეგიონული და მუნიციპალური
სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შეფასება.....27

დასკვნები და რეკომენდაციები.....30

შესავალი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის[1]“, რომელიც 2014 წელს გაფორმდა, აკისრებს საქართველოს სახელმწიფოს მთელი რიგი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის სტატისტიკის მიმართულებით. კერძოდ, შეთანხმების მე-5 კარის, მე-4 თავი მთლიანად ეძღვნება აღნიშნულ მიმართულებას და მისი პირველივე მუხლი (286) ადგენს: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სტატისტიკის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს დროული, საერთაშორისო დონეზე შესადარისი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. მოსალოდნელია, რომ მდგრადი, ეფექტიანი და პროფესიონალურად დამოუკიდებელი ეროვნული სტატისტიკის სისტემა საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებს, ბიზნესებსა და გადაწყვეტილებების მიმღებთ მიაწვდის რელევანტურ ინფორმაციას, რაც საშუალებას მიცემთ, მის საფუძველზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ეროვნული სტატისტიკის სისტემა დაიცავს გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს“, სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის“ გათვალისწინებით, ეროვნული სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის ნორმებსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“.

1 განთავსებულია ბმულზე: https://matsne.gov.ge/document/view/2496959

იმავე თავის 287-ე მუხლი ადგენს სტატისტიკის მიმართულებით თანამშრომლობის მიზნებს, ხოლო 288-ე მუხლი - თანამშრომლობის სფეროებს. კერძოდ, შეთანხმების შესაბამისად, თანამშრომლობა მიზნად ისახავს:

- ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების შემდგომ გაძლიერებას, რომლის ფარგლებშიც აქცენტი გაკეთდება საფუძვლიანი საკანონმდებლო ბაზის განვითარებაზე, ადეკვატური მონაცემებისა და მეტამონაცემების წარმოებაზე, გავრცელების პოლიტიკასა და მომხმარებლებზე ორიენტირებულობაზე, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით, კერძოდ, საჯარო და კერძო სექტორი, აკადემიური წრეები და სხვა მომხმარებლები;
- საქართველოს სტატისტიკის სისტემის ევროპის სტატისტიკის სისტემასთან პროგრესული შესაბამისობის მიღწევას;
- ევროკავშირისათვის მაქსიმალურად დაზუსტებული მონაცემების მიწოდება სათანადო საერთაშორისო და ევროპული მეთოდოლოგიების, მათ შორის, კლასიფიცირების მეთოდოლოგიის გამოყენების მეშვეობით;
- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანამშრომლების პროფესიული და მართვის შესაძლებლობების ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს ევროკავშირის სტატისტიკის სტანდარტების გამოყენებას და წვლილს შეიტანს საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარებაში;
- მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარებას სტატისტიკური „know-how“-ს განვითარების მიმართულებით;

- სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და გავრცელების ყველა პროცესის ხარისხის სრული მართვის ხელშეწყობას.

ხოლო თანამშრომლობის სფეროებია:

- მაკროეკონომიკური სტატისტიკა, მათ შორის ეროვნული ანგარიშები, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა;
- დემოგრაფიული სტატისტიკა, მათ შორის აღწერა და სოციალური სტატისტიკა;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, მათ შორის სოფლის მეურნეობის აღწერა და გარემოს დაცვის სტატისტიკა;
- ბიზნეს სტატისტიკა, რომელიც მოიცავს ბიზნესის რეესტრს და ადმინისტრაციული წყაროების სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენებას;
- ენერგეტიკის სტატისტიკა, მათ შორის ბალანსები;
- რეგიონული სტატისტიკა;
- ჰორიზონტალური საქმიანობა, მათ შორის სტატისტიკური კლასიფიკაციები, ხარისხის მართვა, მომზადება, გავრცელება, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- სხვა შესაბამისი სფეროები.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, თანამშრომლობის ერთ-ერთი სფერო არის **რეგიონული[2] სტატისტიკა**, რომელიც უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით არის ეროვნული

2 შენიშვნა: რეგიონი არის ქვეყნის ნაწილი, მუნიციპალიტეტების/ქალაქების ერთობლიობა, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებს, ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

სტატისტიკის ყველაზე სუსტი წერტილი, ვინაიდან ქვეყანაში რეგიონის დონეზე სტატისტიკური მონაცემები მეტად მწირია, მთელი რიგი მონაცემები წარმოდგენილია აგრეგირებულად, ხოლო მუნიციპალურ დონეზე კი სტატისტიკური ინფორმაცია პრაქტიკულად ძალიან მწირია, რაც ზღუდავს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას როგორც საჯარო სექტორის (მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები), ისე ბიზნეს სუბიექტების, მათ შორის პოტენციური ინვესტორებისა და ფიზიკური პირების (მოქალაქეების) მხრიდან.

გამომდინარე აქედან, ქვეყანაში რეგიონული (მ.შ. მუნიციპალური) სტატისტიკის წარმოების ეფექტიანი, თანამედროვე ევროპული სტანდარტის შესაბამისი სისტემის დანერგვა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულების ფორმალური შესრულებისათვის, არამედ რეგიონულ დონეზე ადგილობრივი (რეგიონული, მუნიციპალური) საჯარო, ბიზნეს და სამოქალაქო პროექტების ეფექტიანი დაგეგმვისათვის. შესაბამისად, ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულება უნდა განვიხილოთ, როგორც ამ უკანასკნელის მიღწევის მექანიზმი. თავის მხრივ, ეროვნული სტატისტიკის სისტემის გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან“ და სტატისტიკის სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობის, მათ შორის, „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან“ და ყოველწლიურად განახლებად „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვა“-სთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის, რაც როგორც ზემოთ აღინიშნა ასოცირების შეთანხმებით არის გათვალისწინებული, აუცი-

ლებელი საწყისი პირობა არის ეროვნული კანონმდებლობის მათთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა. თუმცა, შესაბამისობის ხარისხის შეფასებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია ზუსტად გავერკვეთ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული, ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნებში, ხოლო შემდეგ გავავლოთ პარალელები ეროვნულ კანონმდებლობასთან.

ნაწილი I

ოფიციალური სტატისტიკის, მ.შ. რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის, წარმოების ევროპული სისტემა

1. გაეროს „ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები“

ოფიციალური სტატისტიკის მარეგულირებელი პრინციპების საჭიროება აშკარა გახდა 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა დაიწყეს გადასვლა გეგმური ეკონომიკებიდან ბაზარზე ორიენტირებულ დემოკრატიებზე. არსებითი იყო იმის უზრუნველყოფა, რომ ასეთ ქვეყნებში ნაციონალურ სტატისტიკურ სისტემებს ქონოდათ უნარი შეექმნათ შესაბამისი და სანდო მონაცემები, რომლებიც შეესაბამებოდნენ გარკვეულ პროფესიულ და სამეცნიერო სტანდარტებს. ამ მიზნით, ევროპელ სტატისტიკოსთა კონფერენციამ შეიმუშავა და მიიღო ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები 1991 წელს, რომელიც შემდგომში მიღებულ იქნა 1992 წელს მინისტრთა დონეზეც, როგორც გადაწყვეტილება. მსოფლიოს სხვა ქვეყნების სტატისტიკოსები მალევე მიხვდნენ, რომ პრინციპებს გაცილებით ფართო, გლობალური მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად, საერთაშორისო კონსულტაციების პროცესის შემდეგ, გაეროს სტატისტიკურმა კომისიამ 1994 წლის 11-15 აპრილის სპეციალურ სესიაზე მიიღო იგივე პრინციპები - როგორც გაეროს ფუნდამენტური, ოფიციალური სტატისტიკის პრინციპები.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში, კერძოდ 2011 წლის ორმოცდამეორე სესიაზე, სტატისტიკურმა კომისიამ გა-

ნიხილა ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპები და აღიარა, რომ პრინციპები ისეთივე აქტუალური იყო, როგორც წარსულში და რომ თავად 10 პრინციპის გადახედვა არ იყო საჭირო, თუმცა, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია თავმჯდომარის მეგობრების ჯგუფს გადაეხედათ და განეახლებინათ ფუნდამენტური პრინციპების პრეამბულა, რათა უკეთესად წარმოჩენილიყო პროცესების თანამედროვე განვითარება. შესაბამისად, 2013 წლის ორმოცდამეოთხე სესიაზე სტატისტიკურმა კომისიამ მიიღო შესწორებული პრეამბულა. ხოლო გენერალური ასამბლეის სამოცდამერვე სესიაზე, ასამბლეამ 2014 წლის 29 იანვრის ნომერი A/RES/68/261 რეზოლუციით მხარი დაუჭირა ოფიციალური სტატისტიკის 10 ფუნდამენტურ პრინციპს[3]:

პრინციპი 1: შესაბამისობა, მიუკერძოებლობა და თანაბარი წვდომა. ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგენს შეუცვლელ ელემენტს დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემაში, რომელიც ემსახურება მთავრობას, ეკონომიკას და საზოგადოებას, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და გარემოსდაცვითი მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიწოდების საშუალებით. ამისათვის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემები, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკული სარგებლიანობის მოთხოვნებს, უნდა იყოს შედგენილი მიუკერძოებლად ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ და იყოს ხელმისაწვდომი მოქალაქეებისათვის;

პრინციპი 2: პროფესიული სტანდარტები, მეცნიერული პრინციპები და პროფესიული ეთიკა. ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის შესანარჩუნებლად, სტატისტიკურმა ორ-

3 განთავსებულია ბმულზე:https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/fundprinciples.aspx

განოებმა უნდა უზრუნველყონ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და წარდგენა/გავრცელება პროფესიული, მათ შორის მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების და პროფესიული ეთიკის დაცვით;

პრინციპი 3: ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის გასაადვილებლად, სტატისტიკურმა ორგანოებმა უნდა გაასაჯაროვონ ინფორმაცია სტატისტიკური ინფორმაციის წყაროების, მისი მოპოვების მეთოდებისა და პროცედურების შესახებ;

პრინციპი 4: ბოროტად გამოყენების პრევენცია. სტატისტიკურ ორგანოებს უფლება აქვთ გააკეთონ პროფესიული განმარტებები სტატისტიკური მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციაზე და/ან გამოყენებაზე;

პრინციპი 5: ოფიციალური სტატისტიკის წყაროები. სტატისტიკური მიზნებისთვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან, იქნება ეს სტატისტიკური კვლევები თუ ადმინისტრაციული ჩანაწერები. სტატისტიკურმა ორგანოებმა უნდა აირჩიონ წყარო ხარისხის, დროულობის, საჭირო ხარჯებისა და რესპონდენტების მიერ გაწეული ძალისხმევის გათვალისწინებით;

პრინციპი 6: კონფიდენციალურობა. სტატისტიკური ორგანოების მიერ ფიზიკური თუ იურიდიული პირებისაგან შეგროვებული ინდივიდუალური მონაცემები/ინფორმაცია, უნდა იყოს მკაცრად კონფიდენციალური და გამოყენებული მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის;

პრინციპი 7: კანონმდებლობა. კანონები, რეგულაციები და პროცედურები, რომლითაც ხელმძღვანელობენ სტატისტიკური ორგანოები, უნდა იყოს საჯარო;

პრინციპი 8: კოორდინაცია ეროვნულ დონეზე. სტატისტიკის სისტემაში თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია ქვეყნების სტატისტიკურ ორგანოებს შორის კოორდინაცია;

პრინციპი 9: საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. სტატისტიკური ორგანოების მიერ თითოეულ ქვეყანაში საერთაშორისო კონცეფციების, კლასიფიკაციისა და მეთოდების გამოყენება ხელს უწყობს სტატისტიკის წარმოების სისტემის თანმიმდევრულობას და ეფექტურობას ყველა ოფიციალურ დონეზე;

პრინციპი 10: საერთაშორისო თანამშრომლობა. ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა სტატისტიკის სფეროში, ხელს უწყობს ოფიციალური სტატისტიკის სისტემების გაუმჯობესებას ყველა ქვეყანაში.

წარმოდგენილი პრინციპები არის გლობალური საყრდენი ეროვნული სტატისტიკური სისტემებისათვის და მათი პრაქტიკაში განხორციელების ხელშეწყობისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკური კომისიის 46-ე სესიაზე, რომელიც გაიმართა 2015 წლის მარტში, წარდგენილი იქნა ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების ინსტრუქცია (United Nations Fundamental Principles of Official Statistics - Implementation guidelines[4]). მის პირველ თავში მოცემულია ჩამონათვალი რეკომენდირებული აქტივობებისა, რომელთა განხორციელებას ურჩევენ ეროვნულ სტატისტიკურ ორგანოს, რათა უზრუნველყოს მოცემული ფუნდამენტური პრინციპების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორ-

4 განთავსებულია ბმულზე: https://unstats.un.org/unsd/dnss/gp/Implementation_Guidelines_FINAL_without_edit.pdf

ციელება, ხოლო სახელმძღვანელოს მეორე თავში მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ეროვნული სტატისტიკური სისტემების დამოუკიდებლობის მაღალი დონე.

2. „ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსი“

დოკუმენტი მოქმედი რედაქციით შემუშავებულია 2017 წლის ნოემბერში (დავდაპირველი ვერსია შემუშავდა 2005 წელს) და გამოქვეყნდა[5] 2018 წლიდან. როგორც დოკუმენტის პრეამბულაშია აღნიშნული, ის არის თვითრეგულირების ინსტრუმენტი და ეფუძნება 16 პრინციპს, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ გარემოს, სტატისტიკურ პროცესებსა და სტატისტიკურ შედეგებს.

კოდექსით დადგენილი ძირითადი პრინციპებია:

1. პროფესიული დამოუკიდებლობა. სტატისტიკური ორგანოების პროფესიული დამოუკიდებლობა სხვა მარეგულირებელი ან ადმინისტრაციული ორგანოებისგან, ასევე კერძო სექტორისაგან უზრუნველყოფს ევროპული სტატისტიკის სანდოობას;

1bis. კოორდინაცია და თანამშრომლობა. ეროვნული სტატისტიკური ინსტიტუტები და ევროსტატი უზრუნველყოფენ ევროპული სტატისტიკის შემუშავების, წარმოებისა და გავრცელების ყველა აქტივობის კოორდინაციას, შესაბამისად, ეროვნული სტატისტიკური სისტემის და ევროპის სტატისტიკური სისტემის დონეზე. სტატისტიკური ორგანოები აქტი-

5 განთავსებულია ბმულზე: https://ec.europa.eu/eurostat/documents /4031688 /8971242/KS-02-18-142-EN-N.pdf/e7f85f07-91db-4312-8118-f729c75878c7

ურად თანამშრომლობენ ევროპის სტატისტიკური სისტემის პარტნიორობის ფარგლებში, რათა უზრუნველყონ ევროპული სტატისტიკის შემუშავება, წარმოება და გავრცელება;

2. მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემების ხელმისაწვდომობის მანდატი. სტატისტიკურ ორგანოებს აქვთ მკაფიო სამართლებრივი მანდატი, შეაგროვონ და მიიღონ ინფორმაცია მრავალი მონაცემთა წყაროდან ევროპული სტატისტიკური მიზნებისთვის. ადმინისტრაციები, საწარმოები და შინამეურნეობები და ზოგადად საზოგადოება შეიძლება დაავალდებულოს კანონმა მისცენ წვდომა, ან წარადგინონ მონაცემები სტატისტიკური ორგანოების მოთხოვნით;

3. რესურსების ადეკვატურობა. სტატისტიკური ორგანოების რესურსები შეესაბამება ევროპული სტატისტიკის წარმოების მოთხოვნებს;

4. ხარისხზე აქცენტირება. სტატისტიკური ორგანოები აქცენტირებულები არიან ხარისხზე. ისინი სისტემატურად და რეგულარულად ავლენენ ძლიერ და სუსტ მხარეებს სისტემაში, რათა მუდმივად გააუმჯობესონ პროცესისა და პროდუქტის ხარისხი;

5. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვა. მონაცემების მომწოდებელეთა პირადი ინფორმაციის, მოწოდებული მონაცემების კონფიდენციალურობა და მათი გამოყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის, აბსოლუტურად გარანტირებულია;

6. მიუკერძოებლობა და ობიექტურობა. სტატისტიკური ორგანოები ამზადებენ და ავრცელებენ სტატისტიკურ ინფორმაციას მეცნიერული დამოუკიდებლობის პატივისცემით და ობიექტური, პროფესიონალური და გამჭვირვალე ფორმით;

7. მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი, რაც მოითხოვს ადეკვატურ ინსტრუმენტებს, პროცედურებს და გამოცდილებას;

8. შესაბამისი სტატისტიკური პროცედურები. სტატისტიკური პროცედურები, რომლებიც განხორციელებულია სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავებისათვის, მიმართულია ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისაკენ;

9. ოპტიმალური ტვირთი რესპონდენტებზე. რესპოდენტების პროცესში ჩართულობის მოცულობა შეესაბამება მათ შესაძლებლობებს. სტატისტიკური ორგანოები აკონტროლებენ რესპოდენტების ტვირთს და საზღვრავენ ამოცანებს დროთა განმავლობაში მათი შემცირებისათვის;

10. ხარჯთეფექტურობა. რესურსები გამოიყენება ეფექტიანად;

11. შესაბამისობა. ევროპული სტატისტიკა შეესაბამება მომხმარებელთა საჭიროებებს;

12. სიზუსტე და საიმედოობა. ევროპული სტატისტიკა ზუსტად და საიმედოდ ასახავს რეალობას;

13. დროულობა და პუნქტუალურობა. ევროპული სტატისტიკა ქვეყნდება დროულად და პუნქტუალურად;

14. თანმიმდევრულობა და შესადარისობა. ევროპული სტატისტიკა თანმიმდევრულია შიდა დონეზე, შესადარისია დროში, რეგიონებსა და ქვეყნებს შორის; შესაძლებელია სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების გაერთიანება და ერთობლივი გამოყენება;

15. ხელმისაწვდომობა და სიცხადე. ევროპული სტატისტიკა წარმოდგენილია მკაფიო და გასაგები ფორმით, გამოქვეყ-

ნებულია მოხერხებულად, ხელმისაწვდომია მიუკერძოებელ საფუძველზე, დამხმარე მეტამონაცემებითა და სახელმძღვანელოებით;

3. „სტატისტიკური მოთხოვნების შესახებ მოკლე მიმოხილვა“

აღნიშნული დოკუმენტი ყოველწლიურად განახლებული გამოიცემა ევროსტატის მიერ[6] და წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებებსა და ინსტრუქციებს სტატისტიკის წარმოების შესახებ. ის ასევე იძლევა სტატისტიკის წარმოების ძირითადი საცნობარო ინფორმაციის მიმოხილვას, თითოეული სტატისტიკური დომენის მოკლე აღწერას და სტატისტიკის შედგენისთვის მიმდინარე სამართლებრივი აქტებისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტების ნუსხას, აგრეთვე მეთოდოლოგიურ ინფორმაციას. ყველა აღნიშნული ინფორმაცია დალაგებულია ძირითადი სტატისტიკური დარგებისა და ქვედარგების, ასევე მიმართულებების მიხედვით. მოქმედ 2023 წლის დოკუმენტში სხვა დარგებთან ერთად წარმოდგენილია დარგი ნომერი 4: გარემო და მრავალდომენური სტატისტიკა, რომლის ქვედარგი - 4.2. რეგიონული და გეოსივრცითი სტატისტიკური ინფორმაცია, თავის მხრივ, წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით:

4.2.1. რეგიონული სტატისტიკა და მისი კოორდინაცია:

ა) რეგიონული შრომის ბაზრის სტატისტიკა

ბ) რეგიონული სტატისტიკა

ტიპოლოგიების მიხედვით

6 განთავსებულია ბმულზე: https://ec.europa.eu/eurostat/documents/3859598/16262350/KS-GQ-23-008-EN-N.pdf/ad5a933a-307b-11e0-f3a7-2f49feee3c32

გ) სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

დ) ბიზნესის სტატისტიკა

ე) გარემოსდაცვითი სტატისტიკა

ვ) მეცნიერება და ტექნოლოგია

ზ) ტურიზმის სტატისტიკა

თ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა

ი) განათლება

კ) დემოგრაფია და მიგრაციის სტატისტიკა

ლ) საინფორმაციო საზოგადოების სტატისტიკა

4.2.2. ქალაქების (City) სტატისტიკა;

4.2.3. კომისიის გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GISCO);

4.2.4. NUTS კლასიფიკაციის მართვა;

4.2.5. მიწათსარგებლობისა და მიწის საფარის სტატისტიკა.

მეთოდოლოგიაში, ქალაქების სტატისტიკის (4.2.2)[7] თავში მოცემულია ცალკე დოკუმენტის სახით სახელმძღვანელო მითითებები, რომელიც ადგენს ქალაქების შესახებ დასამუშავებელი სტატისტიკური ინფორმაციის ნუსხას, რომელიც შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

- ქალაქების დემოგრაფიული სტატისტიკა
    - მოსახლეობა ასაკისა და სქესის მიხედვით
    - მოსახლეობა დაბადების ადგილისა და მოქალაქეობის მიხედვით
    - საყოფაცხოვრებო სტატისტიკა
    - საცხოვრებელი ადგილი
- ქალაქების სოციალური სტატისტიკა

7 შენიშვნა: თავისი შინაარსიდან გამომდინარე ჩვენს რეალობაში, „ქალაქების სტატისტიკა“ შეიძლება გავაიგივოთ „მუნიციპალურ სტატისტიკასთან“

    - საცხოვრისი
    - ჯანმრთელობა
    - დანაშაული
- ქალაქებში ცხოვრების ეკონომიკური ასპექტები
    - შრომის ბაზრის სტატისტიკა
    - დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით
- განათლებისა და ტრენინგების სტატისტიკა ქალაქებში
    - ჩართულობა განათლების სისტემასა და ტრენინგში
    - განათლების დონის მაჩვენებლები
- გარემოსდაცვითი სტატისტიკა ქალაქებში
    - ჰაერის ხარისხი
    - ნარჩენების მართვა
    - მიწათსარგებლობა
- ტრანსპორტის და გადაადგილების სტატისტიკა ქალაქებში
- კულტურა და დასვენება
- ტურიზმის სტატისტიკა ქალაქებში.

დასკვნა. წარმოდგენილი დოკუმენტები, როგორც ვნახეთ, იძლევიან ამომწურავ ინფორმაციას თუ რას უნდა მოიცავდეს ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე, რომელიც იკრიბება, მუშავდება და ქვეყნდება სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების მიერ ევროკავშირის წევრი და ასოცირების შეთანხმების მონაწილე ქვეყანაში. ასევე, იძლევიან მეთოდოლოგიას და სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა მოხდეს შესაბამისი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გამოქვეყნება.

გამომდინარე აქედან, ჩვენი შემდგომი ამოცანა არის შევაფასოთ, რამდენად ხდება აღნიშნული ვალდებულების შესრულება საქართველოში, როგორც ასოცირების შეთანხმების მონაწილე ქვეყანაში და რამდენად შეესაბამება რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების სისტემა თანამედროვე ევროპულ პრაქტიკას.

ნაწილი II

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ქართული პრაქტიკა

1. ქართული კანონმდებლობისა და ნორმატიული ბაზის მიმოხილვა

საქართველოს ძირითადი ნორმატიული ბაზა, რომელიც ქვეყანაში სტატისტიკის წარმოებას არეგულირებს არის საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“[8], საქართველოს მთავრობის დადგენილება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ[9], ასევე სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული აქტები, მათ შორის: შინაგანაწესი, სამსახურის ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები[10].

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“. კანონის დეკლარირებული მიზანია „ოფიციალური სტატისტიკის გაეროს ფუნდამენტური პრინციპებისა და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად, აგრეთვე სტატისტიკის საერთაშორისოდ აღიარებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე ქვეყანაში დამოუკიდებელი, ობიექტური და სანდო სტატისტიკის წარმოების უზრუნველყოფა“ (მუხლი 1, პუნქტი 1). აღნიშნული მიზანი გამომდინარეობს და სრუ-

8 იხილეთ ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90946?publication=14

9 იხილეთ ბმულზე: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/ 2179200?publication =0

10 იხილეთ ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/single-public-info/33

ლად შეესაბამება იმ ვალდებულებებს რაც ქვეყანას ასოცირების შეთანხმებით აქვს აღებული ამ მიმართულებით, ამასთან პრაქტიკაში მისი სრულყოფილი რეალიზაცია ნიშნავს, რომ ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების სისტემა სრულ თანხვედრაშია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების შესაბამის სისტემასთან. ასოცირების შეთანხმების მონაწილე ქვეყნისათვის კი, წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით, შესაბამობის ეტაპობრივად მიღწევას.

კანონი „განსაზღვრავს ოფიციალური სტატისტიკის არსს, მიზნებსა და პრინციპებს, ადგენს სტატისტიკის წარმოებისა და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამართლებრივ საფუძვლებს, ოფიციალურ სტატისტიკაზე პასუხისმგებელ ორგანოთა სისტემას და მათ ფუნქციებს“ (მუხლი 1, პუნქტი 2).

კანონით დადგენილი პრინციპებია:

- მნიშვნელობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა;
- ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება;
- სტატისტიკური წყაროს არსებობა;
- კონფიდენციალურობა;
- საკანონმდებლო ბაზის საჯაროობა;
- ეროვნული კოორდინაცია;
- საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპები სრულად ემთხვევა გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

კანონით, ქვეყანაში სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება ხდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ, რომლის ძირითად ფუნქცია-მოვალეობებს ასევე კანონი ადგენს, ხოლო კონკრეტული საკითხები, მათ შორის სამსახურის სტრუქტურა, უფლებამოსილებანი და ა.შ. დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით - საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. კანონის შესაბამისად, აღნიშნული დებულება დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით და ადგენს საქსტატის საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, სამსახურის ფუნქციებს, მმართველობით სისტემას და სტრუქტურას, რომელიც შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს მოიცავს:

- „სტრატეგიული დაგეგმვის და კოორდინაციის დეპარტამენტი;
- საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი;
- ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი;
- ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი;
- ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დე-

პარტამენტი;

- მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი;
- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი“ (მუხლი 7, პუნქტი 2).

სამსახურის დებულებაში მოცემულია თითოეული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც უფრო დეტალურად წარმოდგენილია შესაბამისი დეპარტამენტის დებულებაში. გარდა აღნიშნული დეპარტამენტებისა, საქსტატის სტრუქტურაში ასევე წარმოდგენილია 11 ტერიტორიული ორგანო, მათ შორის დედაქალაქსა და 10 რეგიონულ ცენტრში, რომელთა ფუნქციები ასევე დეტალურად არის გაწერილი მათსავე დებულებაში.

საქსტატის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებების დეტალური გაცნობის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მათი ფუნქციები საერთო ჯამში პრაქტიკულად სრულად ფარავს იმ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გააჩნია, მაგრამ აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ არცერთ მათგანს, ფუნქცია-მოვალეობების ჩამონათვალში არ აქვს რეგიონული და/ან მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ფუნქცია.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს სტატისტიკური სამუშაოების წლიურ პროგრამას და სამუშაოების მოცულობას. აღნიშნული დოკუმენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც საქსტატის წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთი მხრივ, ადგენს შესასრულებელი სამუშაოს ნუსხას, ინფორმაციის წყაროს,

საიდანაც მოხდება ინფორმაციის მიღება და ინსტრუმენტს, რომელსაც იყენებს ამ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ინფორმაციის მიღების პერიოდულობას, შემსრულებელ უწყებას და დამუშავებული ინფორმაციის გავრცელების ვადებს, ხოლო მეორე მხრივ, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას - ცალკეული დარგებისა და მიმართულებების მიხედვით იმ მაჩვენებლების ნუსხას, რომელიც დამუშავებული და გამოქვეყნებული იქნება საქსტატის მიერ.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მთავრობის მიერ დამტკიცებული წლიური პროგრამები[11], სხვადასხვა სტატისტიკურ მიმართულებებთან ერთად ასევე მოიცავს ცალკე განყოფილებას სახელწოდებით: „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით“. მასში მოცემულია სტატისტიკური ინფორმაციების ნუსხა, რომელიც მუშავდება და ქვეყნდება რეგიონულ ჭრილში, თუმცა აღნიშნულ პროგრამებში არაფერია ნათქვამი მუნიციპალურ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და გამოქვეყნების შესახებ.

მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში საქსტატის მიერ ხდება როგორც რეგიონული, ისე მუნიციპალური სტატისტიკის დამუშავება. უფრო მეტიც, 2023 წლის 13 თებერვალს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამართა „რეგიონული და მუნიციპალური პორტალის“ პრეზენტაცია. სამსახურის განცხადების შესაბამისად „პორტალი ევროკავშირის, დანიისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში მომზადდა და

11 სტატისტიკური სამუშაოების წლიური პროგრამები იხილეთ ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa

მისი მიზანია მუნიციპალურ დონეზე სტატისტიკური შესაძ-ლებლობების განვითარება, სტატისტიკის წარმოების გაუმჯობ-ესება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც თა-ვის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე განვითარე-ბის ღონისძიებების დაგეგმვასა და მონიტორინგს. პორტალი შესაძლებლობას იძლევა შედარდეს ძირითადი მაჩვენებლე-ბი, როგორც რეგიონების ასევე მუნიციპალიტეტების დონე-ზე. პორტალზე არსებული 80-მდე მაჩვენებელი მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: მოსახლეობა და დემოგრაფია, ჯან-დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტუ-რა, მშენებლობა, ტურიზმი, ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტო-რი და სხვა“[12].

ცალსახად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პორტალის შექ-მნა აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია, როგორც ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების კუ-თხით, ისე საქართველოს კანონით „ოფიციალური სტატის-ტიკის შესახებ“ დეკლარირებული მიზნების სრულყოფილი რეალიზაციისათვის. ასევე უდავოა ის გარემოება, რომ რეგი-ონული და მუნიციპალური სტატისტიკის გამართული სისტე-მის არსებობა მნიშვნელოვნად დაეხმარება ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე მოქმედ არაერთ აქტორს როგორც საჯა-რო ისე კერძო სექტორში, უფრო ეფექტიანად, ობიექტურ სტა-ტისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და ასეთივე ინფორმაციით შეაფასონ განხორციე-ლებული პროექტების/აქტივობების შედეგები.

12 წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური გვერდი: https://www.geostat.ge/ka/single-news/2756/regionuli-da-munitsipaluri-portalis-prezentatsia

2. რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების პრაქტიკის შეფასება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის დამატება, ცალსახად წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს. პორტალი სხვა შესაძლებლობასთან ერთად, საშუალებას იძლევა მოხდეს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების შედარება სხვადასხვა მაჩვენებლების კუთხით, თუმცა ისიც უნდა აღნიშნოს, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო არაერთი მაჩვენებელი (მაგალითად: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, უმუშევრობის დონე და ა.შ.), რომლებიც მოცემული და შესაბამისად შესადარისი არის რეგიონების დონეზე, არ არის მოცემული/შესადარისი მუნიციპალიტეტების ჭრილში. ასევე, პორტალზე მუნიციპალილურ დონეზე არ არის წარმოდგენილი არაერთი სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე. ასეთი მაჩვენებლების კატეგორიას მიეკუთვნება ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები საქმიანობის სახეების, საკუთრების ფორმისა და საწარმოთა ზომის მიხედვით. ასევე, ფასებისა და ინფლაციის ამსახველი მაჩვენებლები და ა.შ. ცალკეული მიმართულების მაჩვენებლები (მაგალითად სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები) წარმოდგენილია როგორც რეგიონულ ისე მუნიციპალურ ჭრილში, თუმცა მათი დეტალიზაციის ხარისხი და მომცველობა მუნიციპალურ დონეზე გაცილებით დაბალია რეგიონულ დონესთან შედარებით.

რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის ყველაზე ობიექტური შემფასებლები შეიძლება იყვნენ მისი უშუალო მომხმარებლები - რეგიონული და მუნიციპალური საჯარო სტრუქტურები, კერძო სექტორი (ბიზნესი და არასამთავრობო ორგანიზაციები), მკვლევარები/აკადემიური წრეების წარმომადგენლები. შესაბამისად, ჩვენს მიერ მოხდა მათთან ჩაღრმავებული ინტერვიუების ორგანიზება და მიღებული ინფორმაციების გაანალიზება, რის შედეგადაც გამოიკვეთა:

- ყველა რესპოდენტი მიესალმება რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის პორტალის შექმნას და მიიჩნევენ, რომ ამით გაიზარდა შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- რესპოდენტების უმეტესობა თვლის, რომ პორტალზე წარმოდგენილი ინფორმაცია, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში მეტად მწირია და აუცილებელია მისი ეტაპობრივი შევსება;
- საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები გამოთქვამენ სურვილს, რომ პორტალზე ინფორმაცია მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში, წარმოდგენილი იყოს, არა თუ მუნიციპალურ, არამედ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული/ადმინისტრაციული ერთეულების დონეზეც, რაც საშუალებას მისცემთ მათ უფრო ეფექტიანად დაგეგმონ ადგილობრივი პროგრამები და პროექტები. ასევე, მათი აზრით, პორტალის ეფექტურობას გაზრდის მისი რეალურ დროში კავშირის უზრუნველყოფა სხვა სახელმწიფო უწყებების, მათ შორის საჯარო, სამოქალაქო და სამეწარმეო რეესტრის ბაზებთან;
- აკადემიური წრეების წარმომადგენლები მიზანშეწო-

ნილად მიიჩნევენ, რომ პორტალზე მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე წარმოდგენილი იქნეს იგივე ინფორმაცია, რაც ეროვნულ დონეზეა, რათა შესაძლებელი იყოს ინფორმაციის სრული შესადარისობა როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ჭრილში. ისინი ასევე ხაზს უსვამენ, მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების ევროპულ სისტემასთან შესაბამისობის მიღწევის აუცილებლობას;

- ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ ხშირად უწევთ ისეთი ინფორმაციების ალტერნატიული გზებით (მარკეტინგული/ბიზნეს კვლევები) მოპოვება რეგიონის თუ მუნიციპალიტეტის დონეზე, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ოფიციალური სტატისტიკური ორგანოების მიერ მუშავდება და საჯაროდ ქვეყნდება. იგივე პრაქტიკის ქვეყანაში დამკვიდრების შემთხვევაში კი ბიზნესი თავიდან აიცილებდა დამატებით ხარჯებს, რომელსაც სწევს აღნიშნული ინფორმაციების ალტერნატიული გზებით მოპოვებისათვის.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევებიდან, მათ შორის მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ანალიზიდან და არსებული პრაქტიკის შეფასებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ:

- ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების ზოგად პრინციპებს, სრულ თანხვედრაშია შესაბამის ევროპულ კანონმდებლობასთან და ამდენად ამ ნაწილში ასოცირების შეთანხმებით ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულება შეიძლება სრულყოფილად შესრულებულად ჩაითვალოს;
- რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის და მოთოდოლოგიური უზრუნველყოფის ხარისხი ქვეყანაში აშკარად ჩამოუვარდება შესაბამის ევროპულ ანალოგებს. ამ მხრივ შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტრუქტურული და/ან ტერიტორიული ერთეულ(ებ)ის ფუნქცია-მოვალეობებში გაიწეროს რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების ფუნქცია. ხოლო მეორე რიგში, სტატისტიკური სამუშაოების წლიურ პროგრამაში, რომელსაც საქართველოს მთავრობა ამტკიცებს, მუხლის „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს რეგიონების მიხედვით“, მსგავსად დაემატოს კიდევ ერთი ანალოგიური მუხლი „სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს

მუნიციპალიტეტების მიხედვით“ და დამუშავდეს საერთაშორისო მეთოდოლოგიები მუნიციპალური სტატისტიკური ინფორმაციების შეკრების, დამუშავების და გამოქვეყნების შესახებ;

- რეგიონული და მუნიციპალური სტატისტიკური პორტალის შექმნა, შესაბამისი სტატისტიკის წარმოების კუთხით აშკარად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, ვინაიდან მისი ამოქმედებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ამ მხრივ მანამდე არსებული მდგომარეობა, თუმცა აქვე აუცილებლად აღსანიშნავია პორტალის შემდგომი სრულყოფისა და შევსების აუცილებლობა. პირველ ეტაპზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუნიციპალურ დონეზე იგივე სტატისტიკური ინფორმაციების არსებობა, რაც ამჟამად წარმოდგენილია რეგიონულ დონეზე; მეორე ეტაპზე, მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი იგივე სტატისტიკური ინფორმაციების არსებობა, რაც წარმოდგენილია ეროვნულ დონეზე; მესამე ეტაპზე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის წარმოების სისტემის სრული შესაბამისობა თანამედროვე ევროპულ სისტემასთან;
- მუნიციპალური და რეგიონული სტატისტიკის ეფექტიანი წარმოებისათვის სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს რელევანტური ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო უწყებების რესურსები, შექმნას სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საჭირო მხარის ეფექტურ ჩართულობას და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.